

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**დღეს ამოქმედდა “მანყებლობის  
შესახებ” კანონში შესული ცვლილებები  
მედია მფლობელების  
გაჭვრვალობასთან დაკავშირებით**

გუშინ, 2011 წლის 2 მაისს, ოფიციალურ ბეჭდურ ორგანოში გამოქვეყნდა და დღეს ამოქმედდა [საქართველოს კანონი “მანყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შესახებ](#) .

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შეტანილი ცვლილებები ეხება მაუწყებლების მფლობელთა გამჭვირვალობას, ასევე, ლიცენზიის გაცემის წესებს, მედია მფლობელების მიერ შესაბამისობის დეკლარაციის წარდგენას, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირებისათვის მედიის მფლობელობის შეზღუდვისა და სხვა საკითხებს.

არსებული სიახლეების თანახმად, ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან 2012 წლის 1 იანვრამდე, გაასაჯაროვონ ყველა ფიზიკური პირის სახელი ვინც რაიმე ფორმით არის ლიცენზიის მფლობელი კომპანიის მფლობელი ან მონაწილეობს მის მართვაში. გარდა ამისა, საჯარო უნდა გახადონ და საკუთარ ვებ-გვერდებზე განათავსონ ინფორმაცია შემომწირველების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიის საკითხს და განსაზღვრა, რომ უნდა შემუშავდეს სტრატეგია მის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

საია მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების გაზიარებას და მათ ასახვას მოქმედ კანონმდებლობაში. თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ არის მთელი რიგი საკითხები, რომლებზეც მუშაობა დამატებით უნდა გაგრძელდეს.

საია აღნიშნავს, რომ ცვლილებები შეეხო ლიცენზიის გაცემისა და მოდიფიცირების წესებსაც. კერძოდ, ცვლილებების თანახმად ლიცენზიის მოქმედების გაგრძელება და ლიცენზიის გაცემა უნდა მოხდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. გაურკვეველია კანონმდებლის მოტივაცია, თუ რატომ მოახდინა წარმოების უფრო რთული ფორმის შერჩევა ლიცენზიის მოქმედების გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით, თუ ლიცენზიის მფლობელს არ აქვს მიღებული არც ერთი სანქცია ერთი წლის განმავლობაში. ხოლო სანქცირების არსებობის შემთხვევაში კი ლიცენზიის მფლობელი თანაბარ საწყისებზე მონაწილეობდა კონკურსში.

გარდა ამისა, სასურველი იქნებოდა, კანონმდებელს განემართა “ლიცენზიის მფლობელის” ცნება და დაეკონკრეტებინა, რომ ლიცენზიის მფლობელი არის პირი, რომელიც მაუწყებლობას ეწევა თავისი ან/და სხვა პირის ლიცენზიით. რადგან აღნიშნული ტერმინი ბუნდოვანი რჩება დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მიუხედავად მითითებული ხარვეზებისა, საია დადებითად აფასებს მიღებულ ცვლილებებს და გამოხატავს იმედს, რომ სამოქალაქო საზოგადოებასა და საქართველოს პარლამენტს შორის კვლავ გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების სფეროში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.